# სამშობლო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 110 დამატების № 18

კვირა, 21 ივნისი 1915 წ.

სამშობლო—დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა.
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.





ქართველი ისტორიკოსი
**დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე.**

## ბუნების მკერდზე...

I.

მთვარე სხივთ ჩქერს,—ვერცხლით ნაფერს—ათოვს მიწას ..
ვარსკვლავთ ჯარი, ნაზ-ნარნარი, ამკობს ზეცას...
მძინარ არეს, გულ მცინარეს ქარგავს ნამი...
ტბის გულ-მკერდში, ვით სარკეში კრთის ლერწამი...
ყვავილთ კონებს,—ვით გოგონებს—სძინავთ გრძნობით...
სიო ყლორტებს კვლავ უტოკებს თანაგრძნობით...
კოხტათ შლილი ლილ-გაშლილა ვარდ-ბილილა.,.
ეშხით მთვრალი მთის მაყვალი მიბნედილა...

II.

მოჰქუხს წყარო—სანეტარო—მოლიკლიკებს. .
პირს ჰბანს ბუჩქნარს ცრემლად დამდნარს... მთა-ბილიკებს...
წინწკალ-ბროლით მონასრბოლით ათრობს ყანას...
უსურ-ვაზებს,—ყელ-ლამაზებს—უმღერს ნანას...
ტალღათ ჩქერას. . ნელ სიმღერას უსმენს მთები...
დალალ-კავად გაუშლიათ ოქროს თმები...
ნელ მუსიკას ჰჰარავს მიწას... შორს მთიები...
წმინდა ლოცვებს ბუტბუტობენ ტირიფები...

III.

...და ღვთიურ ჩანგს ბუნებისას მრავალ-ხმოვანს...
სიმებს აბამს გაზაფხულის ტურფა ღამე...
გადმონაცემ ჰანგსა ციურს... ჰაეროვანს...
მიწის შვილი ხმა გაკმედით ყურს ვუგდებ მე...
...და რა ისმის?.. ჩუ!..-— . . . .

IV.

...და მეხვევა გულის მღრღნელი გარს ფიქრები...
მსურს გავაპო, გავარღვიო ზოლები ცის...
მსურს ვიხილო ოქროს ტახტზე თვით ღმერთები...
რომ გადავსცე: კვნესა, გმინვა დედამიწის...
ღრის სიცხადემ შემაკვეცა ცეცხლის ფრთები...
ძირს მეშვება... ძირს ხელები აწვდილი ცად...
სინამდვილის გესლით, შხამით... ვთვრები... ვთვრები. .
და ვით მწირი .. ვდნები... მხოლოდ .. წმინდა ლოცვად...

**ნარ-ეკალი.**

ს. დარკვეთი.

# უკანასკნელი საშუალება.

ა მ ბ ა ვ ი.*)

2

უკვე მესამე დღე მიდიოდა, მაგრამ ჯერ ვერაფერი გადამეწყვიტა, ისევე მოუსვენრად ვიყავი, ხეირიანად არავის ველაპარაკებოდი და უფრო ჩემს ოთახში ვატარებდი დროსა. და განა ადვილი გადასაწყვეტი იყო? მთელი უკანასკნელი სამ-ოთხი წელიწადი, იმ აზრს ულილიავებდი, რომ უნივერსიტეტში დავრჩენილიყავი, მთელი ჩემი ძალ-ღონე მეცნიერების ზედმიწევნით შესწავლისათვის შემეწირნა, იქ მეცნიერების ტაძარში უფრო ძალუმად აღმენთო ლამპარი და მას შარავანდედად მოვვლენოდი. ამ აზრს ვაცისკროვნებდი, ამაზედ ამომიდიოდა მზე და მთვარე და ეხლა უცებ მეუბნებოდნენ ყველა ეგ უნდა მიატოვო, ეგ ოცნებაა და სხვა არაფერიო. ოჯახი, ოჯახი გვეღუპება, სახლ კარი ხელიდგან მიგვდის, შველა ყველაზე უწინარეს მას უნდაო.

— არა, არა მე მინდა მეცნიერება ზედმიწევნით შევისწავლო, მეცნიერების ტაძარს ხელ-ახლა დავუბრუნდე და შორს ყოველივე დანარჩენი, მე რა საქმე მაქვს დანარჩენთან, ვიტყოდი ხოლმე, მაგრამ იმავე დროს მეორე ხმა ჩამომძახოდა, მშობლები, მოვალეობა, რომელთაც გამოგკვებეს, გაგზარდეს. აი ის სახელი რომელშიაც შენა ზიხარ და რომელშიაც შენ გაიზარდე, საძირკველი ეთხრება, კედლები ენგრევა და ნუ თუ ისეთი უმადური იქნები, რომ შენს ამღზრდელ კედლებს წასაქცევად წამოწოლილს ხელს არ შეაშველებ, დაქცევისაგან არ იხსნი? აი ეგ სახლ-კარი, ეგ ტყე-მინდორი და მომხიბლავი გადასახედი, ხომ თვენახევრის შემდეგ ხელიდან გამოგვეცლება და შენი მშობელი რომელთაც შენ აღგზარდეს იძულებულნი იქნებიან გუდა-ნაბადი აიკიდონ და სხვაგან გადაიკარგნენ. და როცა ამ უკანასკნელს გარემოებას გავითვალისწინებდი, ესე იგი სამშობლო კერას, მამა-პაპეულის სახლკარის დაკარგვის და ატირებულს მშობლებს, პირველი სურათი კვლავ იჩრდილებოდა,



ტფილისის ქართული გიმნაზია.

ჰქრებოდა და მივიწყებას ეძლეოდა. მაგრამ საკმარისი იყო ცოტაოდნათ შევჩერებულიყავ, თვალი მომევლო ჩემს ოთახში გაფანტულს წიგნებისათვის, ატლასებისთვის, რომ ისევ პირველს დავბრუნებოდი, გამეხსენებინა, რომ აქ მხოლოდ დასასვენებლად მოველი, რომ მეტი ძალ-ღონე შემეკრიფა და კვლავ უფრო გულმოდგინედ შევსდგომოდი ჩემს საყვარელს საგანს, სანუკვარსა და ხელისხელ საგოგმანებელს მეცნიერებას.

აი ეს ორი ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები მოსვენებას არ მაძლევდნენ, ვერაფერს საბოლოო გადაწყვეტილებას ვერ დავსდგომოდი და ვდრტვინავდი, მოუსვენრად ვიყავი, სახლშიაც ყველანი მამჩნევდენ ამ მოუსვენრობას და ნამეტანის გამოკითხვითა და ლაპარაკით აღარ მაწუხებდნენ.

ჩემის ოთახის გრძელს ტახტზედ გაშოტილი ვიწექი, ანუ უკეთ რომა ვთქვათ გაშხლართული ვეგდევი დიდის ხნის ფიქრით მოღლილ დაოსებული, რომ უცებ ღია ფანჯარაში მთვარემ შემოანათა. შუაღამე თითქმის გადასული, იყო, მე არ მოველოდი მთვარის ამოსვლას, სახტად დავრჩი, წამოვდექი, გავსწორდი და გარედ აივანზედ გამოველი. ყუა მოტეხილს მთვარეს მკრთალი შუქი მოედო ყველაფრისთვის, საშინელი სიჩუმე სუფევდა ირგვლივ, არც ადამიანთა, არც ფრინველთა ძახილი არსით არ ისმოდა. თითქმის განგებ მომკვდარიყო ყველაფერი და წყეულის ჭოტის გულსაკლავი ძახილიც კი არსად ისმოდა ირგვლივ მარტო ჩემი ბოლთის ხმა ისმოდა, რომელიც ამ სამარისებურს გამეფებულს სიჩუმეში მაძრწუნებდა და მაშინებდა.

ბოლოს გავჩერდი, გავტრტვინდი, ყური მიუგდე ბუნების მკრთალს ფშვინვას. სწორედ ამ დროს ვიღამაც ნაზად დაახველა და შემდეგ ნაზადვე გააფურთხა. მე ფეხაკრეფით მაშინვე ძირს დავეშვი, ძალზედ მეინტერესებოდა ამ შუაღამისას ვინ უნდა ყოფილიყო გარეთა. ფრთხილად ჩაველი ძირს და შევიხედე იქითკენ საიდგანაც ნაზი ხველება მომესმა. ბოძს მიკრდომოდა ვიღაც ქალი, რომელიც შორიდან ვერ ვიცანი და მთვარის მკრთალს შუქზედ ისე გაშტერებული გასცქეროდა შორს სადღაც არე-მარეს თითქოს ჩუქურთმისაგან გაკეთებული არსებაა და ჩემი მოახლოვება ვერც კი გაიგო.

— თქვენა ყოფილხართ რუსა, შევეხმიანე მიახლოვებისათანავე, რა გინდათ აქ ამ დროს, გამარჯობა თქვენი!

*) გაგრძელება, იხ. დამატება № 17.



გრიგოლ ქაიხოსროს ძე ლორთქიფანიძე.
(შტაბს როტმისტრი)
მძიმეთ დაიჭრა ბუკოვინაში და მარცხენა მკლა-
ვი მოსჭრეს.



ახალგაზდა ქართველი მაჰმადიანი
**ჰაიდარ ბეგ აბაშიძე.**
(სოფლის მასწავლებელი)



სახალხო მასწავლებელი
სიმონ სილიბისტროს ძე ჭანიშვილი.
(თავი მოიკლა 26 მაისს).

ქალმა დარცხვენით შემომხედა, თვალები ძირს დახარა, მაგრამ ერთს წუთსაც არ შენძრეულა.

— რა საოცრად გასცქერით ბუნების სიდიადეს, რას დაუფიქრებიხართ, რას გაუტაცნიხართ, უქეიფოთ ხომ არა ხართ?

— არა, ავად არა ვარ, უცებ, მოულოდნელად, ალერსიანადა სთქვა ქალმა, თითქოს ძილისაგან გამოერკვიაო და ღმობიერად გადმომხედა, მამა ჩემი ქალაქს წავიდა საქმეების გამო, ძმა ხომ დიდი ხანია სხვაგანა სცხოვრობს და სახლში მარტოკა ყოფნას თქვენ დასთან გადმოველი ამ ღამეს დასარჩენათ და რადგან არ მეძინებოდა, გარედ გამოველი და ბუნების სიკეკლუციათა და სიდიადით ვსტკბები.

ამ სიტყვებთან ერთად რუსა მთვარის შუქზედ ისეთ ნაზად, მშვენივრადა და მიმზიდველად მომეჩვენა, რომ სრულიად ველარ ვიცანი წინანდელი რუსა. საუცხოვო გრძელი ნაწნავები, უბრალო სადა კაბა, მედიდური თამამი შეხედულება და გამომეტყველება ძალზედ უხდებოდა მის მეტად სერიოზულს სახეს და ერთი ორათ უფრო აუმჯობესებდა. მთვარე კიდევ ისეთ ნაირად ანათებდა მის სახეს, ისეთ საოცნებოდა მიჩვენებდა, რომ მე ძალა უნებურად წამოვიძახე:

— რუსა, თქვენ ძალზედ გამოცვლილხართ, გალამაზებულხართ და გამშვენიერებულხართ?

— გმადლობთ კომპლიმენტისათვის, მაგრამ გამოცვლა თქვენ უფრო გეტყობათ, გაზრდილხართ, დავაჟკაცებულხართ, თქვენ ეხლა დიდი ფასი და გასავალი გექნებათ.

— გმადლობთ ყველაფრისათვის! გასაკვირველი არ არის, ორი წელიწადი ერთმანეთი არ გვინახავს.

— არა სამია, თუმცა თქვენ ორი წელიწადია, რაც სახლში არა ყოფილხართ, მაგრამ ერთს ზაფხულსაც, როცა თქვენ სახლში იყავით, მე მაშინ ავადმყოფს დედაჩემს გავყევი საავარაკოდ და მაშინაც არ მინახევხართ.

რასაკვირველია, სამი წელიწადი საკმარისი დროა მოზარდ თაობისათვის, რომ ძეროვანი ცვლილება მოხდეს. მართლა დიდი ხანია რაც დედა თქვენი მიიცვალა? მოსცილდით მაგ ბოძს, წამოდით ხეივნისაკენ გავიაროთ.

— წელიწად ნახევარი იქნება, რაც საბრალო დედა მიიცვალა, სთქვა ეს რუსამ და თითქოს ინსტიქტიურად მოსწყდა ბოძს და გამომყვა ხეივნისაკენ.

დიდხანს დავდიოდით ხეივანში წინდა უკან; ბევრს კარგსა და ავს ვაგონებდით ბავშვობის დროიდგან, რუსაც კი მკრთალად, მოხდენილად ჩაიკისკისებდა ხოლმე ზოგიერთს ამბის მოგონებაზედ. მკრთალი ღიმილი მის სახეს საუცხოვოდ უხდებოდა, მთვარის შუქზედ თითქოს რაღაც მიმზიდველობას იწვევდა და რაც მეტი მივდიმოვდიოდით ხეივანში თანდათან უფრო მომწონდა რუსა. ეხლა თითქოს სიბრალულთან ერთად, რომელიც იქიდან გამომდინარეობდა, რომ დედის შემდეგ მარტო დარჩენილიყო სახლში, სიყვარულს იწვევდა ჩემში და ეს სიყვარული თითქოს ყოველი ფეხის გადადგმით უფრო მიჯდებოდა და მიორკეცდებოდა. ხეივანი განვლეთ და ბაღის ბოლოში მივედით, სადაც დიდი კაკლის ხის ქვეშ რამდენიმე ადგილას გრძელი ფიცრისაგან გაკეთებული სკამები იდგა და ორნივე იქ ჩამოვსხედით. მე ხელი ხელს მოვკიდე რუსას, ისიც დამნებდა, თითქოს სიამოვნებით მომცა ხელი.



**თფილისის სახალხო სახლი.**

— პოეტები ამბობენ: ასეთი მომხიბლავი ღამეები მხოლოდ შეყვარებულთათვის არის გაჩენილიო. ბუნება მიმკვდარი, გაყუჩებული, სულგანაბულია, თითქოს შეყვარებულთა სულის კვეთებას, შეყვარებულთა ყოველივე მოძრაობას უნდა ყური დაუგდოსო და ყოველივე წვრილმანი აჰკრიფოსო, მთვარე ფრთხილი ფარავანასავით ნელად თავს ევლება და დაჰფარფატებს მათ.

— პოეტები მეტად მეოცნებე ხალხია. იმათი მესადიც არ უნდა ეჯერებოდეს ადამიანსა. ზოგჯერ ისეთის ოცნებით აგვიწერენ ხოლმე სიყვარულის ყოველივე საფეხურს, რომ ადამიანს ჰგონია, ამაზედ მეტი კაცობრიობაში აღარაფერიაო და მთელი ქვეყნიერება მაზედ ტრიალებსო. ცხოვრებაში კი ხშირად, ძალიან ხშირად ასე არა ჰხდება ხოლმე, ბევრი, ძალიან ბევრი გატაცებული და თავდავიწყებული სიყვარული უბედურებითა თავდება ხოლმე.

— ეგეც მართალია ჩემო მალხაზო რუსა, მაგრამ ცხოვრება ცვალებადია, ვით ტაროსი. ადამიანიც იცვლება ხოლმე. უბედურება იმაშია, რომ იშვიათია ნამდვილი სიყვარული, ზოგჯერ უბრალო გატაცებასაც სიყვარულის სახელით მოჰნათლავენ ხოლმე. ეჰ დავანებოთ ამაზედ ლაპარაკს თავი, აბა მართლა დაჰხედე რუსა რა მშვენიერი და მომხიბლავი ღამეა და ამ სიტყვებთან რუსა უფრო მივიკარი. ისიც თითქოს უარს არ მეუბნებოდა, მნებდებოდა, როგორც უმანკო ადამიანს, რომელსაც თავის დღეში უცხო კაცის ხელი არ შეჰხებია, რუსაც ჰხტოდა გული უცემდა, მაგრამ უცებ რაღაც უცნობმა გრძნობამ ელექტრონსავით დაუარა, თავბრუ დაასხა და ისიც მიმეკრა, გულზედ მიმეხუტა. მე კოცნა დაუწყე, უფრო მეტად ჩავეხუტე გულში და ორი არსება მკრთალის მთვარის ნათელში გახვეული წუთიერს ბედნიერებას, შვებას მივეცით. დიდხანს, დიდხანს ვიყავით ასეთს თავდავიწყებაში, გრძნობათა ღელვით გატაცებულნი და ვინ იცის კიდევ რამდენს ხანს ვიქნებოდით ასეთს ყოფაში, რომ უცებ საიდგანღაც ანაზდეულად მოისმა ჰოტის კვნესა და ჩვენც არ გამოვრკვეულიყავით ამ თავდავიწყებიდან. რუსა ხელიდგან გამეშვებინა, იქვე ახლოს ჩამოჯდა, თავი ჩაჰკიდა, კარგა ხანს რაღაცა ფიქრს მიეცა, რომელსაც მწარე გულმომჯდარი ქვითინი მოჰყვა. მე მაშინვე ვეცი დაყვავება და ალერსი დაუწყე, ვემუდარებოდი ნუ სწუხარ, ნუ სტირი.

— რუსა, ჩემო რუსა რასა სტირი, სულ ერთი არ არის ხომ ჩემი მეუღლე, ჩემი ცოლი უნდა გახდე, ბევრი-ბევრი 2—3 კვირაც კიდევ და ჯვარს დავიწერთ.

რუსა ხმას არ იღებდა, კვნესა ტირილს უფრო უმატებდა, მე თავზედ ვევლებოდი, ვანუგეშებდი, ყველაფერს ვპირდებოდი რაც კი შემეძლო, მაგრამ ის უფრო და უფრო გულამოსკვნითა სტიროდა. სტიროდა ისეთის გულამოსკვნით, რომ ეჰვი შემეპარა აქ არავინ მოვიდეს მეთქი და შევეხვეწე:

— რუსა ჩქარა სახლში წავიდეთ, თორემ საცაა გათენდება და სირცხვილია ამ დროს და ასეთს გარემოებაში ტირილი.

მართლაც მამლებმა უკვე ყივილი მორთეს, რუსა ცოტა გაჩუმდა, თვალები მოიწმინდა და უკან გამომყვა. ოთახამდის მივაცილე და მე კიდევ ზევითკენ ფეხაკრეფით კიბეზედ ავირბინევი.

რამოდენიმე დღის შემდეგ მამა შემოვიდა ჩემთან და მკითხა მოვიფიქრე თუ არა მისი წინადადება.

თანახმა ვარ მამილო, თანახმა, მივახალე მაშინვე.

— ხომ კარგად მოიფიქრე და ასწონ-დასწონე შვილო, ცოლის შერთვა ადვილი საქმე არ არის და ამიტომ გმართებს კარგად მოსაზრება და ყოველივე წვრილმანის გათვალისწინება.

— მოვიფიქრე, გავითვალისწინე ყოველივე და ვნახე, ჰკუაში მიჯდება, თანახმა ვარ, თანახმა, მოკლედ მოუჭერი კიდევ პასუხი.

მამაჩემი გამხიარულებული და მოცინარი გავიდა სახლიდან.

ედილი.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. კოხრეიძისა

რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.